

## შეთანხმება

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ბელგის სამეფოს და  
ლუქსემბურგის დიდი საპერცოვოს მთავრობას შორის საზღვაო  
ტრანსპორტის სფეროში

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება და  
ბელგის სამეფოს მთავრობა სათავისო სახელით და მოქმედი  
შეთანხმებების თანახმად, ლუქსემბურგის დიდი საპერცოვოს საზღვაო,  
შემდგომში „ხელშეკვერელ მხარეებად“ წოდებულნი,  
აღიარებენ რა ორ მხარეს შორის საზღვაო ურთიერთობის მნიშვნელობას,  
სურთ რა მომავალში ჰარმონიულად განავითარონ ეს ურთიერთობები,  
საზღვაო ტრანსპორტის თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით და  
განამტკიცონ შეძლებისდაგვარად ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომელობა,  
განმტკიცება,  
ეყრდნობან რა თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპს

შეთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი 1

წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის:

1. ტერმინი კომპეტენტური საზღვაო ორგანო ნიშნავს:

საქართველოს მხრიდან - საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციის;

ბელგის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდი საპერცოვოს მხრიდან -  
საგაჭრო ფლოტის მინისტრის და შესაბამისად უფლებამოსილ სხვა ოფიციალურ  
პირებს.

2. ტერმინი „ხელშეკვერელი მხარის“ გემი ნიშნავს ნებისმიერ  
საგაჭრო გემს, რომელიც რეგისტრირებულია ხელშეკვერელი შეარის  
ტერიტორიაზე და დაცურავს ამ მხარის დროშით, მისი კანონებისა და წესების  
შესაბამისად;

აღნიშნული ტერმინი არ მოიცავს:

ა) მხოლოდ სამხედრო მიზნებისათვის გამოყენებულ გემებს,

ბ) გემებს გამიზნულს პიდროვრაფიული, ოკეანოვრაფიული და  
სამეცნიერო გამოკვლევებისათვის;

გ) თევზსაჭერ გემებს, თევზსარეწ-კვლევით და საინსპექციო გემებს,  
მცურავ თევზგადამამუშავებელ ქარხნებს;

დ) ხელშეკვერელი მხარის ნაგსაღვურებს შორის ნაოსნობასა და შიდა  
საწყლოსნო ნაგივაციაში დაკავებულ გემებს;

ე) სანავსაღვურო, სარეიდო და სანაპირო მომსახურების გემებს,  
სალოცმანო გემების, ბუქსირების, დამხმარე და სამაშველო გემების ჩათვლით.

3. ტერმინი „ხელშეკვერელი მხარის ეროვნული სანაოსნო კომპანიის  
მხარეულობაში მუთო გემი“ = ნიშნავს საფლამენტურელი მხარის გემს. ან

ნებისმიერ გემს, ან გემის ნაწილს, რომელიც დაფრახტულია, ეროვნულია სანაოსნო კომპანიის მიერ გარდა მე-2 მუხლის “ა-დ” პუნქტებში ჩამოთვლილი გემებისა.

4. ტერმინი „ხელშემკვრელი მხარის ეროვნული სანაოსნო კომპანია“ (შემდგომში - „კომპანია“) — ნიშნავს ერთ-ერთი ხელშემკვრელი ძნარის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოფისის მქონე ნებისმიერ საფაჭრო სანაოსნო კომპანიას, რომელიც აღიარებულია ამ მხარის კომპეტური ინგანების შიერ მოქმედი კანონებისა და წესების შესაბამისად.

5. ტერმინი „ეკიპაჟის წევრი“ - ნიშნავს გემის კაპიტანს ან ნეპისმიერ პირს, რომელიც ფაქტობრივად დაქირავებულია გემზე გემის მუშაობასთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით, ირცხება ამ გემის ეკიპაჟის განრიგში და აქვს მე-10 მუხლის. თანახმად გათვალისწინებული მეზღვაურის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

6. ტერმინი „ტერიტორია“ ნიშნავს:

ა) საქართველოს ტერიტორიისათვის - საქართველოს ტერიტორიულ ზღვას.

ბ) ბელგის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდი საპერცოგოსათვის - ბელგის ტერიტორიულ ზღვას;

### მუხლი 2

წინამდებარე შეთანხმება გამოიყენება საქართველოსა და ბელგის სამეფოს და ლუქსემბურგის დიდი საპერცოგოს ტერიტორიებზე.

### მუხლი 3

ხელშეკრულების მხარეები ადასტურებენ, რომ ერთმანეთან ურთიერთობისას ისინი ყველა ასპექტში კვლავაც დაეყრდნობიან საფაჭრო ნაოსნობის თავისუფლების პრინციპს, და თანახმა არიან თავი შეიკავონ აგენტი იმ მოქმედებისაგან, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს საერთაშორისო ნაოსნობის განვითარებას.

### მუხლი 4

1. ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ:

ა) ხელი შეუწყონ თრივე ხელშემკვრელი მხარის ნაგსადგურებს შორის საზღვაო ტრანსპორტირებაში საკუთარი გემების მონაწილეობას და არ შეუქმნან შეფერხება მეორე ხელშემკვრელი მხარის დროშით მცურავ გემებს მონაწილეობა მიიღონ თავიანთ ნაგსადგურებსა და მესამე ქვეყნების ნაგსადგურებს შორის საზღვაო ტრანსპორტირებაში;

ბ) ითანამშრომლონ შეფერხებათა აღმოფხვრისათვის, რომელიც შეიძლება ხელი შეუშალონ ხელშემკვრელ მხარეთა ნაგსადგურებს შორის საზღვაო ვაჭრობის განვითარებას ან ვაჭრობასთან დაკავშირებულ საქმიანობას;

2. მესამე ქვეყნის საგაჭრო-სანაოსნო კომპანიებს, ისევე როგორც შესაზე ქვეყნის დროშით მცურავ გემებს აქვთ უფლება მონაწილეობა მისღონ ტვირთზიდგაში ხელშეკმევრელი მხარეების თრმერიგი საგარეო გაჭრობის ფარგლებში. ხელშემკვრელი მხარეების სანაოსნო კომპანიების მიერ დაქირავებული გემები სარგებლობენ ისეთივე შეღაფათებით, როგორითაც ამ ხელშემკვრელი მხარის დროშით მცურავი გემები.

3. წინამდებარე შეთანხმება არ ეხება იმ გალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს ხელშემკვრელ მხარეთა მიერ დადებული სხვა საერთაშორისო შეთანხმებებიდან, და განსაკუთრებით, ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდი საპერცოგოს ეგროგაერთიანების წევრობიდან გამომდინარე გალდებულებებს;

4. ორივე ხელშემკვრელი მხარე იღებს გალდებულებას შეასრულოს მისთვის მოქმედი დაკავშირებული საერთაშორისო დოკუმენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც ეხება გემების უსაფრთხოების, გარემოს დაცვასთან, აგრეთვე მეზღვაურთა სოციალურ ბირობებს;

5. ორივე ხელშემკვრელი მხარე იღებს გადებულებას არ ჩაერთოს საერთაშორისო ნაოსნობაში დისკრიმინაციული მოქმედებით, რომელმაც რაიმე ფორმით შეიძლება გამოიწვიოს მეორე ხელშემკვრელი მხარის ინტერესების შელახვა, ან რომელიც ხელს შეუშლის სანაოსნო კომპანიის არჩევის თავისუფლებას, რაც ეწინააღმდეგება კომერციულ საწყისებზე სამართლიანი და თავისუფალი კონკურენციის ბირითად პრინციპებს. —

### მუხლი 5

თითოეული ხელშემკვრელი მხარე ანიჭებს მეორე ხელშემკვრელი მხარის ეროვნულ საგაჭრო სანაოსნო კომპანიებს კონვენტისრებად გალუტაში ყველა ამ შემოსავლების გადარიცხვის შესაძლებლობებს, რომელიც მიღებული აქვს ამ სანაოსნო კომპანიას მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებიდან;

ასეთი გადარიცხვა ხდება რეგულარულად და სწრაფად და ეყრდნობა მიმდინარე გადახდების გადაცვლის ოფიციალურ განაკვეთს, სილეო თოფიციალური განაკვეთის არასებობისას, საგარეო ბაზარზე მიმდინარე გადახდების გადაცვლის გაბატონებული განაკვეთით. ასეთი გადარიცხვისას რა ხდება არანარი დამატებითი მოსაქრებელის ამოღება, გარდა ჩვეულებრივი საბანკო მოსაქრებლებისა.

### მუხლი 6

1. საერთაშორისო მიმოსვლაში გემების საქმიანობიდან მიღებული მოგებას ბეგრაბს მხოლოდ ის ხელშემკვრელი მხარე, სადაც განლაგებულია კომპანიის ფაქტობრიგი მმართველობა.

2. მოცემული შეთანხმების მიზნებისათვის საერთაშორისო მიმოსვლაზე გემების ოპერაციებიდან შემოსული მოგება აგრეთვე მოიცავს:

ა) მოგებას მიღებულს გემების სრული ფრახტიდან, აგრეთვე ბერბოუტის საწყისზე საერთაშორისო ნაოსნობის გემების ერთჯერადი ფრახტიდან;

ბ) მოგებას მიღებულს კონტეინერების იჯარიდან, თუ მოცემული მოგება ემატება იმ მოგებას, რომლის მიმართაც გამოიყენება აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტი.

3. იმ შემთხვევაში, თუ სანაოსნო კომპანიის ფაქტობრივი მმართველობა განლაგებულია გემზე, მაშინ ჩაითვლება, რომ თი განლაგებულია ამ სახელმწიფოში, სადაც მდებარეობს გემის მიწერის ნაფსადგური, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში - იმ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტიც არ ის გემის სამენეჯმენტო კომპანია.

4. პირველი ძარაგრაფის დებულებები აგრეთვე გამოიყენება იმ შიგების მიმართაც, რომელიც მიღებულია ერთობლივ საწარმოში ან საერთაშორისო სააგენტოში მონაწილეობიდან;

5. წინამდებარე მუხლი გამოიყენება მხოლოდ საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას და ბელგიის სამეფოს და ლუქსემბურგის დიდი საპერცოვოს მთავრობას შორის ურთიერთობისას და ხელშემკვრელ მხარეებს შორის ორმაგი დაბეგვრისა და მოგების გადასახადისაგან თავის არიდების თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების ძალაში შესჭრის მომენტიდან დაუყოვნებლივ წყვეტის მოქმედებას.

### მუხლი 7

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე მეორე ხელშემკვრელი მხარის გემზე აკუთარ ნაფსადგურებში ავრცელებს ისეთივე რეჟიმს, როგორითაც სარგებლობენ მისი საკუთარი გემები სანაფსადგურე მოსაკრებლებსა და გადასახადებთან, ნაფსადგურში თავისუფალ შესვლას, დარჩენასა და გასვლასთან, სანაფსადგურე საშუალებების გამოიყენებასთან, აგრეთვე ყველა ამ საშუალებასთან დაკავშირებით, რომლებიც გამოიყენება გემის ნავიგაციასთან და კომერციულ საქმიანობასთან, ეკიბაჟთან, მგზავრებთან და ფრახტთან მიმართებაში. ეს დებულება განსაკუთრებით გამოიყენება გემისათვის ნაფმისადგომის გამოყოფისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის საშუალებების მიმართ;

ზემოხსენებული ურთიერთება აგრეთვე ვრცელდება ორივე ხელშემკვრელი მხარის ეროვნულ სანაოსნო კომპანიებსა და შესაბამის საქმიანობაზე, ხელშემკვრელი მხარის კანონებისა და წესების შესაბამისად.

2. პირველი პუნქტის დებულებები არ გამოიყენება:

ა) იმ სანაგიგაციო და სანაოსნო საქმიანობის მიმართ, რომელიც თითოეული ხელშემკვრელი მხარის მიერ რეზერვირებულია მისი საკუთარი გემებისათვის, სახელდობრ: ნაფსადგურში მომსახურების გაწევა, ბუქსირზიდება, სალოცმანო გაცილება, გემების აგენტირება, სურვეი და ეროვნული სანაპირო ნაოსნობა.

ხელშემკვრელი მხარეები სანაპირო ნაოსნობად არ განიხილავენ გემის ხელშემკვრელი მხარის რამდენიმე ნაფსადგურში თანამიმდევრულ შესჭრის,

როდესაც იგი ახორციელებს ტფირთზიდგას ან მგზავრთა გადაყვანას შესატე ქვეყანაში ან მესამე ქვეყნიდან ან ხელშემქვრელი მხარის ქვეყანაში.

ბ) თევზსარეწი საქმიანობის მიმართ;

გ) უცხოელთა დაშვებისა და მათი ყოფნის წესების მიმართ;

### მუხლი 8

ხელშემქვრელი მხარეები, თავიანთი ეროვნული კანონებისა და ნავსადგურის წესების ფარგლებში მიღებენ ყველა საჭირო ზომას რაოდ, გაადგილონ და დააჩქარონ ნაოსნობა, აღმოფხვრან ეროვნული სანაოსნო კომპანიების მართვას დაქვემდებარებული გემების გაუმართლებელი შეფერხებები, გაამარტივონ და მაქსიმალურად დააჩქარონ ნავსადგურებზი მოქმედი საბაჟო, სამედიცინო და სხვა აღმინისტრაციულ ფორმალურობათა განხორციელება და გაადგილონ ნავსადგურებში არსებული სანავსიდგურები მიმღები საშუალებების გამოყენება.

ამ ფორმალობებთან დაკავშირებით ერთ-ერთი ხელშემქვრელი მხარის შიერ თავის ნავსადგურებში მეორე ხელშემქვრელი მხარის ეროვნული სანაოსნო კომპანიის მართვას დაქვემდებარებული ნებისმიერ გემზე გავრცელებული რეჟიმი უნდა იყოს იდენტური იმ რეჟიმისა, რომელსაც ეს ხელშემქვრელი მხარე ავრცელებს საკუთარი ეროვნული სანაოსნო კომპანიის მართვას დაქვემდებარებული გემების მიმართ.

### მუხლი 9

1. თითოეული ხელშემქვრელი მხარე აღიარებს მეორე ხელშემქვრელი მხარის გემების ნაციონალობას, რომელიც დადასტურებულია ამ გემებზე არსებული, მეორე მხარის უფლებამოსილი ორგანოების მიერ კანონებისა და წესების შესაბამისად გაცემული დოკუმენტებით.

2. გემის ტონაჟის მოწმობას და გემის სხვა დოკუმენტებს, რომელებიც გაცემულია ან აღიარებულია ერთ-ერთი ხელშემქვრელი მხარის მიერ, აკრეთვე აღიარებს მეორე ხელშემქვრელი მხარე. თითოეული ხელშემქვრელი მხარის გემი. რომელსაც აქვს კანონიერად გაცემული ტონაჟის მოწმობა, გათავისუფლებული იქნება განმეორებითი აზომვისაგან მეორე ხელშემქვრელი მხარის ნავსადგურებში.

### მუხლი 10

თითოეული ხელშემქვრელი მხარე ცნობს მეზღვაურის პირადობის დამდასტურებელ დოკუმენტს, რომელიც გაცემულია მეორე ხელშემქვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ და მის მფლობელს ანიჭებს მოქმედი შეთანხმების მე-11 და მე-12 მუხლებში გათვალისწინებულ უფლებებს, ამ მუხლებში მოცემული პირობების დაცვით. აღნიშნულ პირადობის

დამადასტურებელი დოკუმენტად ითვლება: საქართველოსათვის - „მეზღვაურის წიგნაკი“, ხოლო ბელგის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდი საპერცოგოსათვის - „Zeemansboek/Carnet de Marin“.

## მუხლი 11

1. თთოვეული ხელშემკვრელი მხარის გემის ეკიპაჟის ყოველ წევრს, მეორე ხელშემკვრელი მხარის ნავსადგურში გემის ნავმისადგომთან დგომისას შეუძლია ვიზის გარეშე გასვლა იმ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სადაც მდებარეობს ეს ნავსადგური, აგრეთვე ამ მუნიციპალიტეტის მეზობელი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, თუ მას შეუძლია წარმოადგინოს ამ შეთანხმების მე-10 მუხლის აღნიშნული შესაბამისი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. თუმცა ასეთი რამ დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გემის კაპიტანი კომპეტენტურ ორგანოებს ამ ნავსადგურში მოქმედი წესების შესაბამისად, ჩააბარებს გემის ეკიპაჟის სიას, სადაც მითითებული იქნება ეკიპაჟის წევრის გვარი.

2. ნაპირზე გადასვლისას და გემზე დაბრუნებისას ეკიპაჟის წევრი დაეჭირდებარება ამ ნავსადგურში მოქმედ კონტროლს და საბაჭო ფორმალობებს.

## მუხლი 12

1. მე-10 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი პირადობის დამდასტურებელი მოწმობის მქონე ეკიპაჟის წევრებს, სატრანსპორტო საშუალებების მოუხედავად, უფლება აქვთ შევიდნენ მეორე ხელშემკვრებულ მხარის ტერიტორიაზე, ან გადაკვეთონ იყო გემზე ასვლის, ან სხვა გემზე გადასვლის, ან სამშობლოში დაბრუნების, ან იმოგზაურონ სხვა მიზნით ამ ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოს თანხმობით.

2. პირველი ბუნქტით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაში პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში უნდა იყოს მეორე ხელშემკვრებული მხარის ვიზა. დაუშვებელია ამ ვიზის გაცემაზე უსაფუძვლოდ უარის თქმა.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც ეკიპაჟის წევრს აქვს მე-10 მუხლით გათვალისწინებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და იკი ჩამოსმულია მეორე ხელშემკვრელი მხარის ნავსადგურში აგადმყოფობის, სამსახურებრივი ან კომპეტენტური ორგანოების მიერ აღიარებული სხვა მიზეზების გამო, მაშინ ეს ორგანოები ეკიპაჟის წევრს აძლევენ ნებართვის, რათა მან შეძლოს მათ ტერიტორიაზე დარჩენა სამედიცინო მომსახურების ან პოსტიტალიზირების მიზნით და დაბრუნდეს სამშობლოში ტრანსპორტის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით ან გაემვზავროს სხვა ნავსადგურში, სადაც შესაძლებელია მისი ჩამოსმა.

4. ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს მე-10 მუხლით გათვალისწინებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და არ წარმოადგენს არც ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეს, იღებს მეორე ხელშემკვრელი მხარის

ტერიტორიაზე საჭირო შესასვლელ ან სატრანზიტო ვიზას, იმ პირობის დაცვით, რომ არსებობს პირადობის დამადასტურებული დოკუმენტის გამცემი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მისი ხელისნობა შეშვების გარანტია.

### მუხლი 13

1. ამ შეთანხმების მე-10 და მე-12 მუხლების დებულებების დაცვის შემთხვევაში მხარეთა ტერიტორიაზე ძალას ინარჩუნებს უცხოელთა შესვლასთან, გასვლასა და ყოფნასთან დაკავშირებული კანონები და წესები.

2. მე-10 და მე-12 მუხლებით გათვალისწინებული ხებართვა არ გულისხმობს რომელიმე ხელშემკვრელი მხარის იმ უფლების შეზღუდვას უარი განუცხადოს მე-10 მუხლით გათვალისწინებული პირადობის დამადასტურებული დოკუმენტის მქონე ეკიბაზის წევრს, რომელსაც იგი არასასურველიდ ჩათვლის

### მუხლი 14

1. ხელშემკვრელი მხარის სასამართლო ორგანო ან გამოიყენებს თავის იურისდიქციას იმ სამოქალაქო საქმის განსახილებით, რომელიც დაკავშირებულია მეორე ხელშემკვრელი მხარის გემის ეკიბაზის საზღვაო კონტრაქტთან.

2. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ხელშემკვრელი მხარის გემის ეკიბაზის წევრი გემზე ჩაიდინა სამართალდარღვევა მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ყოფილია, ამ ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოები ან აღძრავენ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს მეორე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს დიპლომატიური და საკონსულო კომპეტენტური ოფიციალური პირების თანხმობის გარეშე რომლის დროშითაც დაცურავს გემი, თუ:

ა) სამართალდარღვევის შედეგები ან აყენებს ზიანს იმ სახელმწიფოს ტერიტორიას, სადაც იმყოფება გემი; ან

ბ) სამართალდარღვევა საფრთხეს ან უქმნის საზოგადოებრივ წესრიგსა და უშიშროებას; ან

გ) სამართალდარღვევა ან განიხილება როგორც სისხლის სამართლუმრივი დანაშაული იმ სახელმწიფოს კანონებით, სადაც იმყოფება გემი;

დ) სამართალდარღვევა ჩადენილია იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც ეკიბაზის წევრი არ არის;

ე) სისხლის სამართლის საქმის აღძრა აუცილებელია ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გადაზიდვის აღსაკვეთად.

ვ. ამ მუხლის მე-2 პუნქტის დებულებები ან ზღუდვადას ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოების უფლებებს ყველა ამ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება უცხოელთა შემოსვლას, სიბაჯოს, ჯანმრთელობის დაცვას და კონტროლის სხვა ზომების გათარების სომალიდებით

და ნაგებადგურების უსაფრთხოების, ადამიანთა სიცოცხლის დაცვის, საქონლის დაცვა-შენახვის უზრუნველსაყოფად.

### მუხლი 15

1. იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე ხელშემკვრელი მხარის გემი შეიღება ხელშემკვრელი მხარის სანაპიროსთან მეჩეჩის წამოედო, დაზიანდა, ჩაიძირა ან შეემთხვა სხვა სერიოზული საზღვაო ინციდენტი, მაშინ უბედურებაში მყოვა ასეთი გემი, გემზე არსებული ტვირთი, კაბიტანი, ეკიპაჟი და მგზავრები ამ უკანასკნელის მიერ იღებენ ისეთივე დახმარებას, როგორსაც მიიღებდნენ ამ ხელშემკვრელი მხარის დროშით მცურავი გემები. ეს მხარე დაუყოვნებლავ აცნობებს მომხდარის შესახებ მეორე ხელშემკვრელი მხარის შესაბამის ორგანოებს. ზემოხსენებული საზღვაო ინციდენტები უნდა გამოიგოონ თრივე ხელშემკვრელი მხარის მიერ დასახელებულმა ორგანოებმა, მეორე მხარის საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის შემთხვევაში და ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ინციდენტი იწვევს გემის ჩაძირვას, ეკიპაჟის მიერ გემის მიტოვებას ან ადამიანის დაღუშვას. დანიშნული თრგანოების გამოძიების შედეგები დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ მეორე ხელშემკვრელი მხარის შესაბამის ორგანოებს.

2. გემს ინციდენტში მოხვედრის ან მისი დაზიანების შემთხვევაში, გჯმიდან გადმოტვირთული ან გადატჩენილი ტვირთი, აღჭურვილობა, მასალა და მარტკი არ იძეგრება საბაჟო მოსაკრებლით, ბაჟით ან სხვა გადასახადით, თუ იყი არ არის გადაცემული მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მოხმარებასათვის ან გამოყენებისათვის.

### მუხლი 16

1. მოქმედი შეთანხმების ეფექტიანი შესრულების უზრუნველყოფისა და საკუთარ სახელმწიფოებს შორის საზღვაო ტრანსპორტის ხელშეწყობის მიზნით ხელშემკვრელი მხარეები ქმნიან ერთობლივ საზღვაო კომიტეტს, რომელიც შედგება ხელშემკვრელი მხარეების კომიტეტებური საზღვაო ორგანოების მიერ დანიშნული წარმომადგენლებისაგან.

2. ერთობლივი საზღვაო კომიტეტი შეიკრიბება წელიწადში ერთხელ, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ იქნება შეთანხმებული. თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მოითხოვოს გაერთიანებული საზღვაო კომიტეტის რიგგარეუზე შეხვედრის მოწვევა, ამ შემთხვევაში შეხვედრა იწვევენ თხოვნის წარდგენის დღიდან არა უგვიანეს სამი თვის განმავლობაში.

3. ერთობლივი საზღვაო კომიტეტი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) მიმოხილავს სიტუაციას საერთაშორისო და ორმხრივი სამსახურის ტრანსპორტის სფეროში;

ბ) შეისწავლის საზღვაო სფეროში თანამშრომლობის გაუმჯობესების გზებს;

გ) განიხილავს წინამდებარე შეთანხმების გამოყენებისას წამოჭრილ საკითხებს და საზღვაო სატრანსპორტო ურთიერთობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა საკითხს.

4. ერთობლივ საზღვაო კომიტეტს უფლება აქტს ხელშემკვრელი მხარის კომიტენტურ ორგანოს წარუდგინოს ნებისმიერი რეკომენდაცია, რომელსაც იკინათ გლობალურ სასარგებლოდ.

5. ერთობლივ საზღვაო კომიტეტის პროცედურული წესები იქნება პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორგანოების საერთო შეთანხმებით.

6. თუ ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარე აუცილებლდ თვლის შეცვალის წინამდებარე შეთანხმების პირობები, მაშინ ასეთი ცვლილებები შეიძლება წარდგენილი და განხორციელებული იქნეს დიპლომატიური არხებით ნოტების გაცვლით.

## მუხლი 17

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე აცნობებს მეორე მხარეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლისათვის საჭირო შიდასახელმწიფო ინიციატივის პროცედურების დასრულების შესახებ. შეთანხმება ძალაში შედის ბოლო შეტყობინების მიღების დღიდან მეორე თვის პირველ რიცხვში.

2. წინამდებარე შეთანხმება ძალაში რჩება განუსაზღვროელი გადით. იკინამდებარე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ერთ-ერთმა ხელშემკვრელმა მხარემ მეორე მხარისათვის დიპლომატიური არხებით წერილობითი შეტყობინების გზით. ასეთ შემთხვევაში შეთანხმება წყვეტის თავის მოქმედებას ასეთი შეტყობინების მიღების დღიდან ერთი წლის შემდგომ.

რის დასტურადაც შესაბამისად უფლებამოსილმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე შეთანხმებას

შესრულებულია ქ. თბილისში 2002 წლის 13 ივნისს, ორ ექვემპლარად ინგლისურ ენაზე, ამასთან ორიგე ტექსტი თანაბრად ავთენტიკურია.

საქართველოს  
აღმასრულებელი ხელისუფლების  
სახელით

ბელგიის სამეფოს და  
ლუქსემბურგის დიდი  
საპერკოვოს მთავრობათა სახელით